ПРОЛЕТАРИЯНЫ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

1920 — 1978 — ᲛᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1978 წ. № 222 (17266) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ „ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲝᲛᲮᲐᲕᲐᲢᲝᲛᲠᲗᲐᲜᲘᲡ“ ᲛᲫᲦᲝᲚᲔᲑᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲢᲝᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐᲛᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

მხურვალედ მოგილოცავთ დიდ შრომითს გამარჯვებას — „მთავარმოხავატორანის“ ბევრი მძღოლის მიერ კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად ხატვირთო ავტომობილების გარბენის 3500 ათას კილომეტრამდე გადიდებას.

ეს წარმატება იმის შედეგია, რომ მძღოლები გამოირჩევიან მაღალი პროფესიული ოსტატობით, უფრთხილდებიან ტექნიკას, ნაყოფიერი მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა აქვთ დამყარებული ავტოსატრანსპორტო საწარმოების, სავატომობილო ქარხნებისა და ინსტიტუტის კოლექტივებს.

წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა მშრომელის აქტიური და შემოქმედებითი მონაწილეობის მეობებით შემცირდა ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების შრომატევადობა, მიღწეულია ხათადარიგო ნაწილების მნიშვნელოვანი ეკონომია. მოპოვებული შედეგები თვალსაჩინოდ მოწმობენ ხატვირთო ავტომობილების მთელი პარკის რესურსების ზრდის დიდ შესაძლებლობებს. გამოვთქვამ რწმენას, რომ თქვენს გამოცდილებას ფართოდ დაუპერენ მხარს ქვეყნის ავტოტრანსპორტელები და ავტომობილმშენებლები.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალი შრომითი გამარჯვებები მოგებოვებინოთ ხკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲑᲐᲙᲝᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲑᲐᲙᲝ. ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ლ. Ა. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲩᲐᲒᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲖᲔᲛᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲛᲐᲥᲝᲡ ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲝᲜᲖᲔ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲤᲝᲢᲝ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ᲑᲐᲙᲝ, 20 სექტემბერი. (სპეციალური ᲗᲐᲪ. ᲙᲝᲠᲠ.). დღეს აზერბაიჯანის დედაქალაქის მცხოვრებნი უაღრესად გულთბილად და გულითადად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც აქ ჩამოვიდა ქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ჩამოჰყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის თანამოაზრე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. მ. ფალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის მოადგილე მ. ე. მოგილევეცი.

ბაქოს გაგზავნის ბაქანზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს გულითადად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ა. ხალილოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იბრაგიმოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. გ. ქერიმოვი, ბაქოს საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ა. ი. მაჰმედოვი, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები, მშრომელთა კოლექტივების მრავალი წარმომადგენელი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრი ა. კ. ანტონოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. თ. კულიშევი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი ნ. ა. მაკაროვი, ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელები — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. შენთეშაშვილი, სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ნერსესიანი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიიღოდეს ქალაქის სიმბოლური გასაღები. პიონერებმა ლეონიდ ილიას ძეს თაიგულები გადასცეს.

ქალაქის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში და მოედნებზე, სადაც ავტომობილიდან ჩამოსულ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს უნდა ჩაეარა, თავი მოეყარა ასეთასობით ბაქოელს, რომლებიც გულითადად მიესალმებოდნენ ძვირფას სტუმარს. ხალხში, სახლების ფასადებზე მოჩანდა ტრანსპარანტები, ლოზუნგები, რომლებზეც ეწერა „დიდება შრომელიან საბჭოთა ავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „გეუმარჯოს ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას!“, სამადლობელი სიტყვები ლ. ი. ბრეჟნევისადმი, რომელიც დაუოკლავად იღებს ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად, საბჭოთა ადამიანების საკეთილდღეოდ.

ლ. ი. ბრეჟნევისა და საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქის მშრომელების გულთბილმა შეხვედრამ კვლავ ცხადყო პარტიისა და ხალხის მონოლითური შეკავშირება. საბჭოთა ადამიანებს მისწრაფება — მოახმარონ მთელი თავიანთი ძალონი, ენერგია, შემოქმედებითი ძიები კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

„კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ცხრილი მკითხველებს აცნობს რთველის მიმდინარეობას იმ რაიონებში, სადაც იგი დაიწყო, ან უკვე გაჩაღებულია.

შემდეგ ნომრებში თანდათანობით დაემატება ის რაიონები, სადაც რთველს შეუდგებიან.

„ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ“ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ, 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ (ᲢᲝᲜᲝᲑᲘᲗ)

ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ	1978 წლის ᲒᲔᲒᲛᲐ	19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲙᲠᲘᲤᲘᲚᲘ	ᲛᲝᲛᲙᲠᲘᲤᲘᲚᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲜ
ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ	88000	4279	18101
ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ	61200	197	447
ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ	38000	878	2208
ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ	34000	529	3156
ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ	25100	1208	5240
ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ	19000	509	1990
ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ	10500	31	112
ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ	21000	45	45

- *19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲐ 7.676 ᲢᲝᲜᲐ.*
- *ᲡᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 31.299 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ.*

ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲚᲗᲐ ᲖᲕᲠᲔᲑᲨᲘ

მალე ნაგარეკოს რაიონშიც დაიწყება რთველი. ამ დიდი და პასუხსაგები კამპანიის მაღალ დონეზე წარმართვისათვის ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად იზრუნეს. ეენახებში მისასვლელი გზები წესრიგშია, ტრანსპორტი და ყურძნის საკრეფი ინვენტარი მზად არის. ასე რომ, რთველს მოკლე დროში უდანაკარგოდ დავამთავრებთ.

რაიონის მევენახეებმა წლიურს 24.100 ტონა ყურძენი უნდა მიიტანონ სახელმწიფოს მარანში. ჩვენი კოლმეურნეობა ამ საქმეში თავის ხაპატიო წვლილს შეიტანს, ნაცვლად 650 ტონისა სახელმწიფოს მივყიდით 850 ტონა ყურძენს.

გადადებულ ვალდებულებას ბირტომ ეკისრულობთ, რომ ჩვენმა მევენახეებმა ზვრებს წესების დაცვით მოუარეს და უხვ მოსავალს გელით. რთველი ნინოწმინდაში უხვი იქნება.

Ვ. ᲤᲘᲘᲫᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ნინოწმინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,

Დ. ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
კოლმეურნეობის მევენახეობის განყოფილების მმართველი.

ᲒᲝᲠᲣᲚᲘ ᲧᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲥᲘ

ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 8.120 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ 8.500 ᲢᲝᲜᲐ ᲙᲣᲠᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲧᲘᲚᲘ

უამინდობამ გორის რაიონის განკერძოებულ ბაღებს ყვავილი დააცალა, მაგრამ მეხილეები ბუნების ჯილეგულობას არ შეეშინდნენ, მოწინააღმდეგეთა გამოიცდილება და მეცნიერების მიღწევები მოიშველიეს, ხეხილს თავის დროზე უწამლეს და ასევე დროულად, მაღალხარისხოვნად დამუშავეს ბაღები. ამან სასიკეთო ნაყოფი გამოიღო, კურკოვანი ხილის დამზადების ვალდებულება გადამეტებით შესრულდა, ნაცვლად 8.120 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 8.500 ტონა. კიდევ დამზადდება 1000 ტონა კურკოვანი ხილი.

ბარდა ამისი დაიწყო თესლოვანი ხილის კრეფა, სახელმწიფოს მიეყიდა 5.000 ტონა.

კურკოვანი ხილის დამზადებაში თავი გამოიჩინეს შავშიებმა, ბერბუკის, ქიწლისა და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა მეხილეებმა.

ეს რედაქციას აცნობა წაქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კოზმანიშვილმა.

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲛᲔᲠᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲠᲣᲭᲠᲔᲑᲘ!

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ

ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 9.300 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 9.440 ᲢᲝᲜᲐ ᲤᲝᲗᲝᲠᲚᲘ

საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ᲨᲕᲐᲪᲐᲫᲔ გვატყობინებს:

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ზონის კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციას 1.183 ჰექტარი უჭირავს. ჩვენი მეჩაიეები ყოველწლიურად ადიდებენ მწვანე ფოთლის მოსავლიანობას. ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ჰექტარზე ჩაის ფოთლის სამუალო მოსავალმა 7,5 ტონას გადააჭარბა. ტყიბულელებმა განსაკუთრებული შემართებით აუროშეს წლიურს და თვალსაჩინო გამარჯვებაც მოიპოვეს — **სექტემბრის მეორე დეკადაში შეასრულეს მომდინარე წლის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა-დავალება. ხეზონის დაწყებიდან ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 9.300 ტონისა მოიკრიფა 9.440 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მოკრეფილი ნედლეულის 71,4 პროცენტი პირველი ხარისხისაა.**

ტყიბულელები ჭერ კიდევ მეათე ხუთწლედის სტარტზე დარწმუნდნენ იმაში, რომ ჩაის დარგში მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხის მიღწევა, თითოეული ჰექტარი პლანტაციიდან მეტი ჩაის მზა პროდუქციის მიღება დამოკიდებულია როგორც მეჩაიეთა გარჯაზე, ისე ჩაის ფაბრიკის მუშაკების ნაყოფიერ შრომაზე და ავტოტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე. ამიტომ აყო, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს ამ ორნახევარი წლის წინათ მხურვალედ დაუჭირა მხარი ზონის ყველაზე მძლავრი — ორპირის კოლმეურნეობისა და ამავე სოფლის ჩაის ფაბრიკის მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას ორმხრივი ხელშეკრულების დადების, მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის გამომზვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ამ თაოსნობას ყველა მეჩაიემ დაუჭირა მხარი და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს ვასილიევის, ციხისის, გურნის, საწირის, სოჩხეთის, ორპირის, კურსების, ძმეთის კოლმეურნეობებმა.

წლიურს ჩაის ფოთლის სიუხვისათვის ბრძოლაში თავდგამოიჩინეს გ. გაბადაძემ, მ. ცნობილაძემ, ი. სოფრომაძემ, ს. ლომთათიძემ, დ. მორჩაძემ, ნ. გორგიძემ, ნ. ჩუბინიძემ, შ. ბერეკაშვილმა.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 2.540 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 2.550 ᲢᲝᲜᲐ ᲤᲝᲗᲝᲠᲚᲘ

ᲒᲣᲚᲠᲘᲤᲨᲕᲔᲚᲘ მეჩაიეები სასახელო შრომითი მზეკენრებლით ხვდებიან საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავს. მათ ვალდებულება აიღეს ადრე გაანადგურეს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. **19 სექტემბრისათვის რაიონში დამზადებულია 2.550 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებულ 2.540 ტონისა. მოკრეფილი ფოთლის 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა.**

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სოფელ ფშაფის კოლეგისა და რუსთაველის სახელობის, სოფელ მერხეულის ბატალიონელის სახელობის, სოფელ დარანდის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობები, სოფელ ქვემო ფშაფის წერეთლის სახელობის სათესლე მეურნეობა.

რაიონის მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ სეზონის ბოლომდე კიდევ დაამზადონ 100 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ᲩᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 855 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 1.039 ᲢᲝᲜᲐ.
ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲩᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚ მეჩაიეებს დირსეული წვლილი შეაქვთ 420 ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობაში. მათ უკვე მოკრიფეს 1.039 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 855 ტონისა.

ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ ჭვაბიანის, გეზრულის, თვალეთის, ეწერის კოლმეურნეობები და მანდაეთის საბჭოთა მეურნეობა. მეჩაიეთა შორის კი პირველობენ ე. ბერეგვაძე, ბ. გურჯაძე (ორივე ქვაციხიდან), ე. კაპანაძე (ვეზრულიდან) და სხვები.

ხეზონის ბოლომდე ჭიათურელი მეჩაიეები სახელმწიფოს კიდევ მიჰყიდიან 50 ტონა ჩაის ფოთოლს.

ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მარგველაშვილმა.

ᲓᲦᲔᲡ, 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ



ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტები — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალები გიწვევენ გაერთიანებულ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ეძღვნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲑᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲨᲐᲣᲛᲘᲐᲜᲘᲡ

დაბადების 100 წლისთავს.

სესია გაიმართება 1978 წლის 21 სექტემბერს დღის 3 საათზე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის საკაფო დარბაზში (რუსთაველის პრეზიდიუმი 29).

პარტიული ცხოვრება

გაანვაჯორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

დამპიეელებელი ნაბიჯები

პარტიის რაიკომი და სოფლის მეურნეობის პროგლემები

ფლოდ-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობაში დაშვებული ხარვეზები.

განსაკუთრებით ფართოდ და საინტერესოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მექანიზატორებს შორის საგაზაფხულო სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებსა და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

როგორც ცნობილია, სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მისი საჯაროობა. ამიტომაც, შეჯიბრების შედეგებს ყოველ ხუთ დღეში ვაქვეყნებთ. გამარჯვებულთა გვარები და სურათები ქვეყნდებოდა ადგილობრივ პრესაში, ვიმპელებსა და ფასიან საჩუქრებს მაღ რაიკომის ბიუროს წევრები უშუალოდ მინდვრებში გადასცემდნენ. მაშინ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორისტები საღამოობით ფარის გამარჯვებულ ეკიპაჟებს მუშაობდნენ.

ასეთ პირობებში რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიური დარგის მუშაკებს დიდად დაეხმარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისადმი, მუშებისადმი, ინტელიგენციისადმი, ახალგაზრდობისადმი, ყველა კომუნისტისა და კომკავშირელისადმი.

იდეურად და ორგანიზაციულად ძლიერმა ღონისძიებებმა, კომუნისტების, მშრომელთა თავდადებულმა მუშაობამ საშუალება მოგვცა ძირითადად დაგვეძლია უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა და სიძნელეები. ნახევარი წლის გეგმები და ვალდებულებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შესრულდა.

კიდევ უფრო მეტი შემართებითა და ენთუზიაზმით იღვწიან ცხაკაიელი მშრომელები ახლა, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვლისის პლენუმმა დასახა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამა, მეცნიერულად გააანალიზა თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის მნიშვნელობა. მისი პრაქტიკული შედეგები და განსაზღვრა მომავლის ამოცანები.

კოლექტივებში ახლაც გრძელდება ამ პლენუმის შედეგების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დასკვნებისა და დებულებების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის მასალების განხილვა. პლენუმის მითითებებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამჟამად პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

ყოველივე ამან „კეთილი შედეგებიც მოიტანა. განვლილ რვა თვეში სახელმწიფოს მიეყიდით 1401 ტონა ხორცი, 1515 ტონა რძე, 6 მილიონ 305 ათასი ცალი კვერცი, რაც გეგმა-ვალდებულებაზე თითქმის 3 მილიონით მეტია. რთული პირობებისა და სიძნელეების მიუხედავად ჩვენმა მეგობრებმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს აბრეშუმის ნარის დაბნადების გეგმა და სახელმწიფოს მიჰყიდეს 480 ცენტნერი ძვირფასი ნედლეული, ვალდებულებაზე 30 ცენტნერით მეტი, კტრკოვანი ხილის დამზადების გეგმა შესრულებულია 140 პროცენტით, მეჩაიეებმა კი უკვე მოკრიფეს 9.304 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც გეგმა-ვალდებულების შესრულების კარგ გარანტიას ეძლევა.

ყოველი ჩვენგანი დიდად გახარება საქართველოს კომპარტიის XII პლენუმზე ნათქვამმა სიტყვებმა, რომ „ცხაკაიის რაიონში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 58.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში მეექვსე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ზრდამ 60 პროცენტს მიაღწია, მაშინ, როცა საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი 23 პროცენტია“.

დამეთანხმებით, ასეთი შეფასება მართლაც სასიხარულოა, მაგრამ ამასთანავე, დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს, გვავალებს არ შეგანელოთ ხუთწლედის დასაწყისშივე აღებული ტემპი, რომელიც საკმაოდ დამაიმედებელია. მაგალითად, მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში გასული ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ჩაის ფოთლის წარმოება გაიზარდა 48 პროცენტით, ხორცისა — 50, რძისა — 49, კვერცხისა — 251 პროცენტით, ხოლო სოიისა ორჯერ და მეტად. ასევეა სხვა დარგებშიც... პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლები 62,3 პროცენტით გაიზარდა.

დიახ, წარმატებები გვაქვს და ისინი შემთხვევითი როდია. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენმა რაიონმა ამ უკანასკნელ წლებში ზედიზედ ახარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე ნათქვამმა სიტყვებმა, რომ „ცხაკაიის რაიონში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 58.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში მეექვსე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით 60 პროცენტს მიაღწია, მაშინ, როცა საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი 23 პროცენტია“.

დამეთანხმებით, ასეთი შეფასება მართლაც სასიხარულოა, მაგრამ ამასთანავე, დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს, გვავალებს არ შეგანელოთ ხუთწლედის დასაწყისშივე აღებული ტემპი, რომელიც საკმაოდ დამაიმედებელია. მაგალითად, მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში გასული ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ჩაის ფოთლის წარმოება გაიზარდა 48 პროცენტით, ხორცისა — 50, რძისა — 49, კვერცხისა — 251 პროცენტით, ხოლო სოიისა ორჯერ და მეტად. ასევეა სხვა დარგებშიც... პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლები 62,3 პროცენტით გაიზარდა.

დიახ, წარმატებები გვაქვს და ისინი შემთხვევითი როდია. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენმა რაიონმა ამ უკანასკნელ წლებში ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო ცალკეულმა შრომითმა კოლექტივებმა მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

ნათქვამია, სახელის მოხვეჭა ძნელია, დაკარგვა — ოლონდ. ოგონდ შეიძლება ითქვას წარმატებებზეც. ამიტომ პარტიის ცხაკაიას რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სოფლის კომუნისტები კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზატორული და იდეოლოგიური ფაქტორების შემდგომი გაუმჯობესების, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლების, კადრების სწორი შერჩევისა და განაწილების, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის გაძლიერების მიზნით. სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები პარტიის რაიკომის პრაქტიკული დახმარებით ახლა უფრო სწორად და მიზანსწრაფულად ახორციელებენ პარტიის აგრარულ პოლიტიკას, უფრო კომეტენტურად და საქმის ცოდნით წარმართავენ სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს. ამის შედეგია თუნდაც ის, რომ თუმცა ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა რაიონში თითქმის არ შეცვლილა, მისი პროდუქტიულობა 50 პროცენტით გაიზარდა.

ამ წარმატების მოპოვებაში დიდად დაგვეხმარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებები, იგრეთვე ის, რომ პარტიის რაიკომმა მკვეთრად გააძლიერა ყურადღება, კონტროლი და მომთხოვნელობა ამ დარგისადმი... განმტკიცდა პირუტყვის საკვები ბაზა, გაუმჯობესდა მეცხოველეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, მათი მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმები. ამ ბოლო წლებში ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აშენდა ათობით ახალი, თანამედროვე, მექანიზებული ფერმა, საკვების გადასამუშავებელი და შესამზადებელი საამქროები, სასენაჟე და სასილოსე ორმოები და სხვ. კარგი ნაყოფი გამოიღო აგრეთვე ჯერ კიდევ 1975 წელს პარტიის რაიკომის პლენუმის მიერ საგანგებოდ შემუშავებულმა რაიონის საზოგადოებრივი მეცხოველეობის კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პროგრამამ, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონეს.

თუმცა ამ პროგრამის ყველა პუნქტი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის განხორციელებული, მაგრამ უკვე ახლა მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო გაერთიანება მთლიანად რაიონში დამზადებული რძისა და ხორცის თითქმის ერთ მესამედს იძლევა, ერთი საფეხურაქე ძროხის წველადობა აქ 400 ლიტრით მეტია, ხოლო ხორცისა და რძის წარმოება საგრძნობლად იაფი ჯდება, ვიდრე საშუალოდ რაიონში.

ეს მხოლოდ პირველი სასიკეთო შედეგებია. ამ მხრივ ჯერ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, საქმეშიც ინტენსიურად მიმდინარეობს და დარწმუნებული ვართ, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის ახლანდელთან შედარებით 2-3-ჯერ გაიზრდება მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება და სახელმწიფო დამზადება. დიდ იმედებს ვამყარებთ აგრეთვე ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის ინტენსიურ სანაშენე კომპლექსზე, რომელიც წელიწადს ამოქმედდა. უახლოეს პერიოდში იგი სახელმწიფოს ყოველწლიურად 3-3,5 ათას სანაშენი ნეხვს მიაყიდის და 300-მდე ტონა ხორცს ჩააბარებს.

მოგეხსენებათ, მეფრინველეობა ძალიან მნიშვნელოვანი რეზერვია, მაგრამ მას, სამწუხაროდ, დიდხანს ჯერ-ჯერობით ყურადღება არ ექცეოდა. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე ითქვა, 10-15 წლის წინათ, როცა მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა დაიწყო, ბევრის ეფექტი რეპროდუქტორის შექმნაზე. ძვირად ღირებული საინკუბატორო კვერცხი დოქმდე სხვა რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს. სასიხარულოა, რომ ამ მხრივ პირველი დადებითი ნაბიჯი ცხაკაიაში გადაიდგა — ნოსირში და შენდება რესპუბლიკაში მეფრინველეობის პირველი რეპროდუქტორი, რომელიც უკვე ორ წელიწადში მეტია წარმატებით მუშაობს და ხარისხიანი კვერცხით ამარაგებს დასავლეთ საქართველოს მეფრინველეობის ფერმებსა და ფაბრიკებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ, თუმცა რეპროდუქტორის მშენებლობა საკმაოდ ძვირი დაჯდა, მაგრამ მისი მწარმოებლობა დიდი არ იყო.

საჭირო ვახდა გამოსავლის ძებნა. ამაზე ბევრჯერ ვიმსჯელეთ პარტიის რაიკომში, მოვეთათბირეთ ადგილობრივ სპეციალისტებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „საქფრინველეფრეწის“ ხელმძღვანელ მუშაკებს და დავასკვენთ, რომ შედარებით უმნიშვნელო დანახარჯებით, არსებული შენობების თანამედროვე დანადგარებით აღჭურვის და სხვა ღონისძიებების შედეგად, იქ დასაქმებული მუშების რაოდენობის გაუზრდელად შეძლებდით რეპროდუქტორის საწარმოო სიმძლავრის 2-2,5-ჯერ გადიდებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და საპროექტო ინსტიტუტი უკვე ამზადებს საჭირო ტექნიკურ დოკუმენტაციას.

როგორი იქნება ხვალინდელი სოფელი? ეს კითხვა უსაფუძვლო როდია, რადგან ჩვენი პარტიისა და მთავრობის გამუდმებული ზრუნვით დღითი დღე იმატებს ხელარა სოფელსა და ქალაქს შორის. მალე, ალბათ, ეს ხელვარი არც იარსებებს, მაგრამ, დამეთანხმებით, რომ კარგად ორგანიზებული სასოფლო მშენებლობის დაწესებულებების, მათი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, თანამედროვე ვერ ამოქმედ ითქვას, დღეს შეუძლებელია სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა, სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლება. ამიტომაც იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვლისის პლენუმმა სოფლად მშენებლობის განვითარებისათვის ზრუნვა პარტიის აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა.

ამ მხრივაც ცხაკაიაში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. სოფელ ნოსირში, ცხაკაიას სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე, სწორეთ ტემპით შენდება სამშენებლო კონსტრუქციების მძლავრი კომბინატი, რომელიც წლიულ გადაეცემა საექსპლოატაციოდ და არა მარტო ცხაკაიას, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს რაიონების სასოფლო მშენებლობებსაც უზრუნველყოფს რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით, სხვა საშენი მასალებით. მალე აქვე სასოფლო მშენებლობის სანმინისტროს ხაზით აშენდება ხის დასამუშავებელი კომბინატი, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობებისა და კერამიტის ქარხნები... ერთი სიტყვით, შეიქმნება სასოფლო მშენებლობის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა...

ლიახ, ცოტა რამ როდი კეთდება. მაგრამ ჯერ კიდევ ბლომად გვაქვს პრობლემები, ასამოქმედებელი რეზერვები. ნაკლოვანებები, და თუ გნებავთ, ჩავარდნებიც. მეტად დამაფიქრებელია თუნდაც ის, რომ რაიონის 7 მეურნეობა ვერ ასრულებს რძის წარმოებისა და დამზადების გეგმებს, წყალდიდობის გამო დაგვეღუპა შრომის ნათესების დიდი ნაწილი, ჩამოურჩებით სენაჟის დამზადებაში, მიუხედავად იმისა, რომ თადარიგი დავიჭირეთ და სასილოსედ გეგმის გადამეტებით მრავალი ჰექტარი ფართობი დავთესეთ, ასეთ ამინდში საფრთხე ემუქრება სილოსიდ უზრუნველყოფის საქმესაც, სიმინდისა და სოიის ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების გამო შეიძლება შარშანდელთან შედარებით შემცირდეს მათი საშუალო-ჰექტარობრივი მოსავლიანობაც...

კოლხეთის ზონაში ამინდი ახლაც ჭირვეულობს. გამუდმებული წვიმები უარყოფითად მოქმედებს მცენარეთა განვითარებაზე, ნაყოფის ზრდა-დასრულებაზე, ხელი გვიშლება საკვების დამზადებაში, უამინდობის გამო ცდება მექანიზმები, აგვისტოს დამდეგს ერთხელ კიდევ დაიტბორა სიმინდისა და სოიის 400 ჰექტარზე მეტი ნათესი, და მაინც იმედს არ ვკარგავთ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ასეთ პირობებში წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარი მხოლოდ მტკიცე ერთსულოვნება, დარაზმულობა, თავდადება, ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის მაქსიმალური ამოქმედებაა. ეცდილობთ, არ დაკარგოთ ერც ერთი წუთი, საათი და მინდვრებზე შევამციროთ სტიქიით გამოწვეული ზარალი.

ასეთია დღეს ცხაკაიელ მშრომელთა საბრძოლო განწყობილება. სოფლის ყველა კომუნისტს უპირველესი საზრუნავი.

ვ. ესვანჯია,

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი.

ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადო ერთადერთი პერსპექტიული ბუდობია ჩვენს რესპუბლიკაში. მისი მარაგი მილიონობით ტონაა და ამ ბუნებრივ სიმდიდრეს თვალისჩინივით გაფრთხილება სპირდება.

ვინც ტყიბულის ქვანახშირის დამუშავების 130 წლის ისტორიას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ამ საბადოს წინდაუხედავ და არასწორ დამუშავებას ბევრი უსიამოვნება მოუტანია მეშახტეებისათვის.

უკანასკნელ წლებში ტყიბულ-შაორის ქვანახშირის რთული საბადოს დამუშავების, საკითხებზე მრავალი დისკუსია იმართება, მაგრამ დღემდე ამას რაიმე სასარგებლო შედეგი არ მოყოლია. პირიქით, შეიქმნა სრულიად მცდარი მიმართულება ქვანახშირის ფენების ჭერის მართვის ჰიდრავლიკური ვსების პროგრესული მეთოდის გასაქმებლად და მის ნაცვლად მთელი საბადოს ჭერის ჩამოქცევის მეთოდზე გადასაყვანად. ეს არ არის უბრალო ტექნიკური შეცდომა და არც უნებლიე შეცდომათა კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ წერილში ნაწილობრივ მაინც გავაშუქოთ საქმის რეალური ვითარება და გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც ალბა ხანია ჩამოყალიბდა ტყიბულელ სამთოელებს შორის.

ქვანახშირის დამუშავების მსოფლიო პრაქტიკაში ძნელად მოძებნება მეორე ისეთი თავისებური საბადო, რომელიც თავისი მრავალმხრივი სპეციფიკური სირთულეებით ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს შეედაროს. ამიტომ ჩვენი ბუდობის სწორად დამუშავება მთლიანად არის დამოკიდებული ღრმა ჰორიზონტზე განლაგებული სქელი ფენის ამ სპეციფიკური საკითხების მეცნიერულად გაანალიზებულ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე. ამისათვის უმდიდრესი პრაქტიკული გამოცდილებაა შეძენილი ტყიბულის შახტებში და მას მხოლოდ სწორი კოორდინაცია და საქმის ცოდნით მიდგომა სჭირდება.

მთელი პირდაპირობით უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ამ საკითხებში არსებულმა დაბნეულობამ განაპირობა „ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს ტექნიკური არსენალის სიღარიბე, რაც ჩრდილს აყენებს ჩვენი რესპუბლიკის სამთო-საინჟინრო კულტურის მაღალ დონეს.

„საქნახშირის“ ხელმძღვანელობა ერთხიანებამ ვერ იქნა და ვერ გამონახა სწორი ტექნიკური მიმართულება და ვერ ჩაუდგა სათავეში იმ კონკრეტული საკვანძო საკითხების გადაწყვეტას, ურომლისოდაც ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს განვითარება არ უწერია.

რესპუბლიკის ზემდგომი ორგანიზების ერთობლივი დადგენილებისა და სათანადო მითითების მიუხედავად, ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადო დღემდე უხეიროდ მუშავდება. ბუნებრივია, ეს მდგომარეობა ძალზე აფერხებს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას. და მართლაც, ბოლო 20 წელიწადში საქართველოში ქვანახშირის ამოღება მილიონ 140 ათასი ტონით შემცირდა. ამ პერიოდში დაიხარა ან გაუქმდა 7 შახტი, რომელთაგან 3 ახალი აშენებული იყო (45 მილიონი მანეთი საერთო ღირებულებით). სრულიად მარტივ ტექნიკურ სიტუაციაში ვაუქმეს ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტის შტოლნის ზედა ახალი ჰორიზონტი, რომლის აშენება 12 მილიონი მანეთი დაუჯდა სახელმწიფოს. ასევე გაუმართლებლად დაიხარა ორი წამყვანი შახტის ამოსავსება მასალის კარიერებით და ა. შ. თუ იმასაც დავძენთ, რომ რესპუბლიკაში ქვანახშირის რესურსები მნიშვნელოვნად კლებულობს, მაშინ ადვილი წარმოსადგენი გახდება, თუ ახლო მომავალში რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობა. ამ რთულ ვითარებაში რა უფლება გვაქვს ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს დამუშავებას ასე ზერელედ მოვეკიდოთ?

კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ დაძაბული შრომა, დიდი დრო და ხარჯები დასჭირდა ტყიბულის შახტებში ჰიდრავლიკური ვსების მეთოდთან ქვანახშირის მოპოვების დანერგვას და განვითარებას. ჭერის მართვის ეს ნამდვილად მეცნიერული ხერხი საფუძველად ედო ჩვენი საბადოს განვითარების საქმეს და ძირითად მმართველობად ითვლებოდა. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ამ სამწირით და ოფლით მოგვარებულ საქმეს მეტად შენიღბული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ და ეს საშვილიშვილო საქმე ჩაშლის პირამდე მიიყვანეს.

მოურიდებლად უნდა ვაღიაროთ, რომ ტყიბულის შახტებში ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის უარყოფა და ამის ნაცვლად კამერებისა და სამთო წისქვილების დამკვიდრება, ინჟინრულად თუ ვიტყვით, სრულ უწიგნურობად მიგვაჩნია.

ჩვენ აქ ვერ ვილაპარაკებთ ყველა იმ მავნე შედეგებზე, რომლებიც თან ახლავს ჩვენი ქვანახშირის ფენების ჭერის ჩამოქცევით მუშაობას. მაგრამ დავსძენთ, რომ იგი ანადგურებს საბადოს მარაგს, რადგან საოკეანესო ხარისხის საკოქსე ქვანახშირის ნახევარზე მეტს სამუდამოდ ეტოვება მიწის ქვეშ, ხოლო მის ნაცვლად უვარგისი ნახშიროვანი ფიქლები და ლიტობიოლეტური ნახშირები ამოვა ზედაპირზე, ყველაფერი ეს, რალა თქმა უნდა, ხელოვნურად ეფუჭებს ქვანახშირის ხარისხს და მიწისქვეშა ხანძრებს გარდაუვალს ხდის. ასეთი ტექნიკური აბნეულობა საშინაო სამთო სკკპში.

მრავალი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩვენს შახტებში სხვა საბადოებიდან „მონასესხები“ მეთოდებით მუშაობა გაუმართლებელია. რადგან, ჯერ ერთი, ჩვენთან სამთო-გეოლოგიური პირობები რადიკალურად განსხვავდება სხვა საბადოებისაგან. ამასთან აქ თავმოყრილია სამთო საქმეში დღემდე ცნობილი თითქმის ყველა მიწისქვეშა მაგნე მოვლენები — გაზისა და მტვრის ფეთქადობა, აქტიური ოვითწვის უნარი, ტექტონიკური აშლილობები, სამთო დარტყმები და ა. შ. თითოეული ამ საშიში მოვლენის უგანმეორებელ-ყოფილ საჭიროა სრულიად ერთიერთსაწინააღმდეგო ღონისძიებები. ამიტომ დამუშავების რაციონალური მეთოდების გამონახვა და ეს საშვილიშვილო საქმე ჩაშლის პირამდე მიყვანილი, გამოცდილებას და წინდახედულობას საჭიროებს, რაზეც ჩვენ ვცოდავთ.

წინდაუხედაობისა და შეუსაბამო ღონისძიებების სერიებ-ჯაჭვი ჩამოთვლა, ეფიქრობთ, ზედმეტია. ეს ფაქტები ცალკეულად, მაგრამ ერთიანობაში ცხადია, რომ შედეგად ჩვენ ჩვენმა შახტებმა დიდი ზარალი ნახა. უნაყოფოდ დაიხარჯა რამდენიმე ასეული ტონა ძვირფასი ლითონი და უამრავი ხე-ტყე. მიწისქვეშა ჩამონგრევებში და ხანძრებში ჩატეტილი ნახშირმომპოვებელი კომპლექსი, კომბაინი და სხვა მანქანა-მოწყობილობა.

კამერებითა და სამთო წისქვილებით მუშაობამ ჩვენს შახტებს სხვა მრავალი სახის ზიანიც მიაყენა. შეიქმნა შრომის ნაყოფიერების ფიქციური მაჩვენებლების ატმოსფერო და ამ გზით დაგეგმარების ყალბი ბაზა ხელოვნურად დამკვიდრდა. ამის შედეგად შახტებში თანდათანობით შემცირდა წამყვანი პროფესიის მეშახტეთა რაოდენობა და მდგომარეობა უკიდურესობამდე დაიძაბა. დღეისათვის ტყიბულის ყველა შახტში საუმენდი სანგრევების კომპლექსური ბრიგადების შემადგენლობა 2-3 მეშახტით განისაზღვრება და ხშირია შემთხვევა, როცა ცვლაში ერთი მეშახტეც კი მიდის. ეს მდგომარეობა ჯერჯერობით უბნების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ფიზიკური შრომით ნაწილარიდან, მაგრამ ამის შედეგად ხომ მიწისქვეშა სანგრევების ტექნიკური მართვის საქმეა მიტოვებული?

ასეთ ვითარებაში შრომის ნაყოფიერების მოჩვენებითი მაღალი მაჩვენებლები უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით არის მიღწეული, რადგან ამის ზრდის სხვა ორგანიზაციული და ტექნიკური წყარო ტყიბულში არ არის. თავისთავად ცხადია, რომ ნაყოფიერების ასეთი ილუზიები დიდძალი თაწილების უკანონოდ ხარჯვასთან არის დაკავშირებული. განა საგანგაშო არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენს შახტებში ხარისხობრივი მაჩვენებლების, უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიური რეჟიმის ელემენტარული წესების დაცვა ქვანახშირის ამოღების მკვეთრ შემცირებას, კაკვაშირდება? ეს არგუმენტი ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელს ამწყვეტს ჩიხში და აიძულებს თვალი დახუჭოს ყოველგვარ დარღვევებზე. საკმარისია ორიოდე დღით დაკავდეთ ჩვენი შახტები აუცილებელ საჭირო რეჟიმზე და იმის მოწმე გავხდებით, რომ ტყიბულში ქვანახშირის ამოღება განახევრდება. აი სანამდე მგვიანდელამ, ტექნიკურ მოვლენებისაგან ფაქტიურად წყვეტებამ ტყიბულის შახტებში ა

საქლესი იტყობინება

სესიამ მუშაობა დაიწყო

▲ მთავარი პრობლემა — გამალებული შეიარაღების ალაგმვა და განიარაღება ▲ ახლო აღმოსავლეთის საკითხი

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი (საკლესის სპეც. კორ). აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი 33-ე სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოს 150 ქვეყნის წარმომადგენლები. სესიის დღის წესრიგშია 130-ზე მეტი საკითხი. მათგან მთავარი საკითხები მიზნად ისახავს იმას, რომ დამკვიდრდეს და გაღრმავდეს პოზიტიური ცვლილებები საერთაშორისო ვითარებაში, განმტკიცდეს დაძაბულობის შენელების პროცესი, რომელმაც დაამტკიცა თავის სიცოცხლისუნარიანობა ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის მოწინააღმდეგეთა განუწყვეტელი გამოხდომების მიუხედავად.

ცენტრალური ადგილი უკავია გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და განიარაღების პრობლემებს. ამ უმნიშვნელოვანეს დარგში ძირითადი ინიციატივები ეკუთვნის საბჭოთა კავშირს, რომელიც თანამიმდევრულად და შეუპოვრად იღებს ბირთვული იარაღის გაუგრცელებლობის რეჟიმის განმტკიცებისათვის, ბირთვული გამოცდის საყოველთაო და სრული შეწყვეტისათვის, მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა და სისტემათა იარაღის შექმნაზე უარის თქმისათვის, ნაცვალგების საფუძველზე, სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით, ყოველგვარი სახეობის იარაღის, უწინარეს ყოვლისა ყველა ზეატომგარეული იარაღის შეზღუდვისა და აკრძალვისათვის, შემდეგ კი არსებულებიდან მისი ამოღებისათვის.

მეგობრულ ვითარებაში

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება

ადის-აბება, 19 სექტემბერი. (საკლესი). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაური სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სოციალისტური ეთიოპიის დროებითა სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს გენერალური მდივანი ფიქრე-სელასიე ეოგდერესი.

გაიმართა აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის ორივესად აქტუალურ პრობლემებზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

მოლაპარაკება მეგობრულ ვითარებაში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

დღეს ეროვნულ სასახლეში ხელი მოწერეს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის დოკუმენტებს. ხელმოწერილია სსრ კავშირის მთავრობასა და სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო მთავრობის შეთანხმება ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმება საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის საკითხთა სამთავრობთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ.

დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციი ბ. ბ. კუზნეცოვის მეთაურობით, აგრეთვე დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს გენერალური მდივანი ფიქრე-სელასიე ეოგდერესი, საბჭოს მუდმივი კომიტეტის წევრები და ეთიოპიის სხვა ხელმძღვანელები.

სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა მიიღო საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია.

ვ. ვ. კუზნეცოვმა დროებითს სამხედრო ადმინისტრაციულ საბჭოს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი — ფაიფურის ლარნაკი, რომელზეც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის პორტრეტია გამოსახული.

საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაურმა დღეს დარბაზობა გაუმართა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს გენერალური მდივანს ფიქრე-სელასიე ეოგდერესს.

გაიმართა აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის ორივესად აქტუალურ პრობლემებზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ნიკარაგუას ამბები

სპეციალური მიწა

სან-ხოსე. დიქტატორმა სომოსამ ნიკარაგუის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით სახტიკი ტერორი გააჩაღა. ეროვნულ გვარდიაში შემავალი დამსჯელები მხეცურად გაუსწორდნენ ლეონის, მასაის, ხინოტეპეხა და სხვა იმ ქალაქების სახალხო აჯანყების მონაწილეებს, რომლებიც ჯარებმა მრავალი დღის ბარბაროსული დაბომბვისა და საარტილერიო ქვემეხებიან სროლის შედეგად ჩაიგდეს ხელში. ბევრი ტანჯულიოს თქმით, ჯალათები განსაკუთრებით სასტიკად სჭიან მუშაობა უბნების მცხოვრებთ, სადაც ყველგან აწყობენ ჩხრეკა-დაპატიმრებას და ადგილზევე ხვრეტენ პატრიოტებს. დამსჯელები ძარცვავენ მაღაზიებს, სასურსათო ფარდულებს, ხდიან ტანსაცმელს და ხსნიან ძვირფასეულობებს გვამებს, რომლებთაც პირდაპირ მოფენილია ქალაქის ქუჩები.

ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ქალაქები ლეონი და ჩინანდეგა, ათასობით ადამიანის სიცოცხლის ფასად დაამშვიდეს. ხალხს ელტენ ვითომდა „თავისუფლების“ გულისათვის, რომელსაც ასე „დაპატიჟალებენ“ ნიკარაგუელი დიქტატორი და მისი ვაშინგტონელი მფარველები, კიდევ რომ ბეკვენ თავის გასალებას „ადამიანის უფლებათა დაცველებად“. ხიხს უსვამს გაზეთი. ეეერთებული შტატების გარდა სომოსას რეჟიმს მხარს უჭერენ მხოლოდ გვატემალის, ჰონდურასისა და სალვადორის დიქტატორული რეჟიმები.

ეროვნული გვარდიის ოპერაციებს უშალოდ ხელმძღვანელობენ ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებსაც „ვიეტნამში“ ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვთ“. სომოსას არმიას განუწყვეტლივ ემატებიან უცხოელი დაქირავებულნი. ფრანგული გაზეთი „ორორი“ იუწყება, რომ ნიკარაგუაში ჩავიდა ისრაელი ჯარისკაცი, რომლებიც დაიქირავეს პანამის არხის ზონაში მდებარე ამერიკის სამხედრო ბაზებში.

მაგრამ სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პატრიოტები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ დიქტატურას. მათ მტკიცედ უკავიათ კოსტა-რიკის საზღვრის გაყოლებით, მდებარე დაახლოებული პუნქტები საპოა, ვირხენი, კარდენასი და სხვები. ცხარე ბრძოლები წარმოებს ესტელეს მისადგომებზე, სადაც დამსჯელთა ეერიშებს პატრიზანებთან ერთად მტკიცედ იგერიებს ამ ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა.

სამ კვირაზე მეტია გრძელდება საერთო-ეროვნული გაფიცვა ნიკარაგუაში. მისი მონაწილეები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადადგეს სომოსა, გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი, აღადგინონ თავისუფლებანი და დემოკრატია. გაფიცულთა მხარდასაჭერად გამოვიდა ნიკარაგუის საკონსტიტუციო თათბირი, რომელიც განიხილავს ნიკარაგუის ამბებს.

სესიაზე გამოსულმა გენერალი ლეონ ფორმიდაგენელმა ხოსე მარია მაჩიმმა გულისწყრომით დაგმო გენოციდის პოლიტიკა, რომელსაც სომოსა ახორციელებს ნიკარაგუაში, აღნიშნა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკელ დაქირავებულთა უშუალო მონაწილეობის ფაქტები, რომლებიც ახლახან გამომზეურდა. მან დაქირავებულთა გამოყენების ტაქტიკას უწოდა ამ ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი აგრესიის აქტი.

მეხიკო. მთელ მსოფლიოში იზრდება კაბპანია, რომლის მონაწილენი სოლიდარობენ ნიკარაგუელ ხალხს და გმობენ ნიკარაგუის სისხლიან დიქტატურას. მექსიკის გაზეთი „დიან“ ხაზს უსვამს, რომ ნიკარაგუის რეჟიმის დასაყრდენია შეერთებული შტატები. ნიკარაგუისათვის ამ კრიტიკულ დროს, წერს გაზეთი, ვაშინგტონი ოფიციალურ ღონეს ხმარობს, რათა ხელი შეუშალოს ხალხის გამარჯვებას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაშკარავა, თუ რა პოლიტიკას ადგას ლათინურ ამერიკაში.

ლიმა. რა რეპრესიებსაც უნდა მიმართონ სომოსამ და მისმა მფარველებმა, ისინი ვერ გატეხენ ნიკარაგუელ ხალხს, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაამხოს ამერიკის იმპერიალიზმის ამ დამჩაშის საძულველი დიქტატურა, ნათქვამია განცხადებაში. რომელიც ლიმაში გაავრცელა პერუს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიამ. (საკლესი).

• • •

სურათზე: ლეონის ქუჩებში. აპ-საკლესის ტელეფოტო

კ. ვალდჰაიმის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკლესის სპეც. კორ). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 33-ე სესიამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეტანოს განიარაღების, დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცებისა და ქვეყნად დაძაბულობის ხაშაში კერების ლიკვიდაციის საქმეში, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა.

სესიის გახსნის წინ აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო გაერთიანების უპირველესი ამოცანაა გამალებული შეიარაღების ალაგმვა და განიარაღება.

ვიზიტად

ადის-აბება, 19 სექტემბერი. (საკლესი). დღეს აქედან გავიგზავნა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის საელჩოწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო.

ტრიპოლი, 19 სექტემბერი. (საკლესი). დღეს ლიბიის ხელმძღვანელობის მოწვევით ფ. კასტრო ხანმოკლე ვიზიტად ეწვია ტრიპოლს. იგი შეხვდა ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო და ჯამაჰირიის საყოველთაო სახალხო კონგრესის გენერალურ მდივანს მუამარ კადაფის.

ალჟირი, 19 სექტემბერი. (საკლესი). ლიბიის არაბთა სოციალისტურ სახალხო ჯამაჰირიაში ვიზიტის დამთავრების შემდეგ აქ ჩამოვიდა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო რუსი.

ვის აძლევს ხელს?

ლ. ლეროვი

...თუ ავტობუსში ჯდები, უკანასკნელი ჩაჯექი, თორემ „კუდი“ აგეკიდება.

...ისარგებლე კოდით საუბრისას, შიფრით ჩანაწერებში.

...ბეცვას უბრალოდ, ნურაფრით ნუ გამოირჩევი ადგილობრივ მცხოვრებთა ბრბოში.

...თუ შენთვის საინტერესო პირთან მიდიხარ, მაშინვე ნუ წაიღებ თან მასალებს, შეამოწმე, შინ არის თუ არა.

და ასე შემდეგ და ასე ამგვარად.

სწავლობდნენ წამსწავლელთა „კეთილ რჩევებს“ და ანკეტებს შინ დაბრუნებულთათვის: „ვის ეწვევ, ვის რა გადაეცი, რა ახალი მიხასმართები შეგიძლია გვაცნობო, რა უწესივრობანი იყო ტექნიკაში?“ და აქვე მოცემულია მახე-კითხვები: „ხომ არ დაგავიწყდათ შოგესპოთ თქვენთვის გადმოცემული იმ ადამიანების მისამართებიანი ფურცელი, რომლებიც უნდა გინახავთ? დაბრუნეთ თუ არა რუკა-სქემები, რომლებითაც სწავლობდით მარშრუტებს?“. ანკეტებს აბარებდნენ ლილიან ნუოინს, იგი განაზოგადებს მათ.

...კონსპირაციის გაკვეთილები დიდხანს გრძელდება.

— და კიდევ დაიხსომეთ, ბატონებო, — ხარელდი ხმადაბლა, მშვიდად და დარწმუნებით ლაპარაკობს, — თუ ვინმე თქვენგანს დასჭირდა კიდევ კონტაქტის დამყარება უშუალოდ „მისიასთან“, — იადერბერგის სამუალებით იმოქმედთ. „მისიის“ ამ ოფიციალურმა თანამშრომელმა ყველაფერი იცის. და თუ სამუალება გიქნებათ, დაურეკეთ ტელეფონით 122405 ანა კარსონს. იგი სუნდსვალში ცხოვრობს და ბატონ მარტინსონისაგან შესაბამისი უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. ვიმედოვნებ, რომ არ ჩაიფერფლთ ტელეფონის ამ ნომრის და სამუდამოდ დაიხსომეთ იგი. ვიმედოვნებ, რომ აღარ უნდა გაგიმეორონთ ანბანური ჭეშმარიტებანი — თქვენ არა გაქვთ ქაღალდი და კალამი, გაქვთ მხოლოდ მეხსიერება. თქვენ მოგცემენ „მისიისათვის“ საინტერესო ადამიანთა მისამართებს, გვარებს და სახელებს. წაიკითხეთ ფურცელი, რომელზეც ჩაწერილიან ყოველივე ეს, დაბიეთ და გადაადგეთ. იგი თქვენ აღარ გეჭირდებათ, თქვენ გაქვთ მეხსიერება. გასაგებია?

...დღის წესრიგი არ ამოწურულა, არის კიდევ ერთი სერიოზული საკითხი — მზადება ოლიმპიური ასპარეზობისათვის. უნდა ვიუარაუდოთ, რომ საბჭოთა მებაღეები ისე ფხიზლად ვეღარ იდგებიან ვახტზე — მარტო ტურისტები რამდენი იქნება! როგორ გამოვიყენოთ უფრო ეფექტიანად ამგვარი სიტუაცია?

თითქოს უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ. შეიძლება წავიდ-წამოვიდნენ? არა, ნუ ჩქარობთ, ძმებო და დები. ლილიან მულინი მოლუშულია, გაჯავრებული იყურება. მნიშვნელოვანი რაღაც გაახსენდა. კო, სამალავებიანი მანქანების თაობაზე. შეფმა ისევ სთხოვა შეესსენებინა: „ენაზე — კლიტე! კაციშვილმა, ყველაზე ახლო ნათესავებმაც კი არ უნდა იცოდნენ მათი საიდუმლო“.

ბინდბუნდში, მაკრი კონსპირაციის დაცვით, ისინი ტოვებდნენ გასაიდუმლოებულ პატარა სახლს. თითო-თითოდ. სხვადასხვა მიმართულებით. როდის შეხვდებიან კიდევ ერთმანეთს? შესაძლოა, სექტემბერში! ჯერჯერობით კი საქმეს უნდა მოაკიდონ ხელი, გზას დაადგნენ! ვინ—სად. ხომ არიან „სლავურ მისიაში“ ადამიანები, რომლებიც „მფარველობენ“ ბულგარეთსაც და იუგოსლავიასაც.

წარელიც უნდა მოემზადოს, გამგზავრების დრო ახლოვდება. როგორ მიდის საქმეები საბელოსნოში? შემოზიდეს თუ არა ლიტერატურა, — ის ხომ იქ, სახელოსნოში, სამალავში უნდა ჩატვირთონ: კონსპირაცია! ნაყიდია თუ არა ნივთები, რომლებიც საჩუქრად მიაქვს? ისინიც სამალავში უნდა შეინახოს. თუმცა ეს, მართალია, მისი საზრუნავი არ არის. ასეთი საქმეებისათვის არის სპეციალური „სამუშაო ჯგუფი“, არის ფული...

წიაღსვლა მესამე

ფული! საიდან აქვს „სლავურ მისიას“ ამდენი ფული? ტურისტები უგულოდ ჰფენდნენ შუქს ფინანსურ პრობლემებს.

ფული ბლომად სჭირდებოდათ. ლიტერატურა, მანქანები. ნაყიდ მანქანებს შემცველენ პირებზე აფორმებდნენ. ამასაც ხომ ფული უნდოდა. დაზღვევა, გადასახადები. ახლა „ტურისტულ“ მოგზაურობებს, ტანჯული „ეროსტეფანეს ძმებისათვის“ დახმარებას აღარ იკითხავთ?

ერთხელ, როცა ფინანსებზე ჩამოაგდეს საუბარი, მარტინსონმა სარელდს უთხრა, ყველა პრობლემა უბრალოდ წყდებაო: ერთმორწმუნეთა გულუხვი შეწირულობანი შვედეთში. მაგრამ განა მარტო ერთმორწმუნეებისა? სარელდმა გაიხსენა საუბარი მოლარე სტურმესთან. არის ასეთი „გულშემატკივარი“ საზოგადოება — „საერთაშორისო ამნისტია“. ჰოდა, აი ამ საზოგადოებამ მიმდინარე ანგარიშზე „სლავურ მისიას“ ათასი კრონი გადაუგზავნა. და მიმართა თხოვნით, ის ფული სსრ კავშირში, რომელიღაც ოჯახის მამას გადაუგზავნეთო, რომელსაც თითქოს სდევნიდნენ რწმენისათვის. გვარი არ ახსოვს სარელდს, მაგრამ მოლარესთან ის საუბარი არ დაივიწყა. მან რჩევა სთხოვა სარელდს, თუ როგორ შეესრულებინათ „კეთილისმყოფელთა“ თხოვნა...

და კიდევ გაახსენდა მას ოსლოში, კოლეგებთან გამგზავრება შეფთან ერთად. იქ მოქმედებს „მისია რკინის ფარდის მიღმა“, რომელსაც მოხუცი ევგრი უდგას სათავეში. ის მარტინსონთან მეგობრობს. ბერიკაცმა, საქმიანმა კაცმა, მოისმინა სარელდის ნაამბობი სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ და პირდაპირ ჰკითხა:

—თქვენ, ალბათ, ბევრი ფული გჭირდებათ ასეთი მოგზაურობისათვის?

მარტინსონმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, სახე ერთბაშად გამოუცოცხლდა. მაგრამ იცოდა გრძნობების დოკება, და სხვათა შორის თქვა:

—ჰო, რა თქმა უნდა!...

და ასევე სხვათა შორის თქვა ბერკა

ადიარება

რუსთაველის თეატრი ბელგრადის ინტერნაციონალურ ფესტივალზე

წერილი იუგოსლავიიდან

ბელგრადის ინტერნაციონალური თეატრალური ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილი და ავტორიტეტული საერთაშორისო თეატრალური ფესტივალია და მის მიმართ დიდ ინტერესს ავლენენ მსოფლიოს თეატრალური მოღვაწენი. ამ ფესტივალში გამარჯვება დიდ პატივად ითვლება და გამარჯვებული თეატრის წინაშე დიდი პერსპექტივა ისახება საერთაშორისო თეატრალურ-ასპარეზზე. ფესტივალის დევიზია „ახალი თეატრალური ტენდენციები", რაც თავისთავად განსაზღვრავს ამ დიდი ფორუმის შინაარსსა და მიმართულებას. ფესტივალის ორგანიზატორები, რომელთაც ხელთ აქვთ ვრცელი ინფორმაცია — თვითანთ წარმომადგენლებს გზავნიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და წინასწარ შეიტყობენ ჯერ, კონკრეტული გეგმის მიხედვით ეცნობიან ამა თუ იმ გამოაურებულ სპექტაკლს.

რუსთაველის თეატრის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მექსიკის სეერვანტესის სახელობის საერთაშორისო ფესტივალში გამოსვლამ განაპირობა ბრეკტის „კაკასიური ცარცის წრის" პოპულარობა და საკოველთაო რეზონანსი.

ამ სპექტაკლის სანახავად სპეციალურად ეწვია თბილისს ფესტივალის დირექტორი, ბელგრადის თეატრ „ატელიეს" სამხატვრო ხელმძღვანელი მირა ტრაილოვიჩი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული თეატრალურ სამყაროში თავისი დაუცხრომელი ენერგიის, ფანტაზიისა და შემოქმედების წყალობით. სწორედ მისი ინიციატივით შეჩერდა არჩევანი „კაკასიურ ცარცის წრეზე". აქ მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი: ფესტივალის პროგრამაში შეტანისათვის ერთი, თვით ყველაზე ავტორიტეტიანი წარმომადგენლის მოსაზრება არ არის საკმარისი. ფესტივალის ორგანიზატორები, მას შემდეგ, რაც ყველა სავარაუდო სპექტაკლს ნახავენ, იკრებებიან, მსჯელობენ, ეცნობიან მსოფლიოს პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვთ გადაწყვეტილება.

ამჯერად ბელგრადის მეთორმეტე ფესტივალში მსოფლიოს თოთხმეტი ქვეყნის თეატრალური კოლექტივი მონაწილეობდა. ეს ფესტივალი, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობით და წარმომადგენლობით დიდად აჭარბებს ჩვენთვის ცნობილ მრავალ საერთაშორისო ფესტივალს (მათ შორის, ცხადია, სერვანტესის სახელობის ფესტივალსაც) და უპირველესია თვით იუგოსლავიაშიც, სადაც ყოველწლიურად შვიდი საერთაშორისო ფესტივალი იმართება. ამ მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ ფესტივალზე წარმოდგენილია მხოლოდ ახალი თეატრალური იდეებით, ექსპერიმენტული ძიებებით აღბეჭდილი სპექტაკლები.

რუსთაველის თეატრი ბელგრადში ჩავიდა 6 სექტემბერს. იმავე დღეს გაიმართა პირველი ტექნიკური და სორეკესტრო რეპეტიცია.

ყველაზე მღელვარე და დაძაბული დღე იყო 7 სექტემბერი. დღის პირველ საათზე ბელგრადის მერის რატუშის უზარმაზარ ამფიტეატრში რუსთაველის თეატრს დარბაზობა ითუწყო. ეს არ იყო ჩვეულებრივი რიტუალური წესის შესრულება. მისი მაპატრაბი გრანდიოზული იყო, ამ დარბაზობის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა ის, რომ რუსთაველის თეატრს წილად ხვდა პატივი თავისი სპექტაკლით გაეხსნა ფესტივალი. რატუშის სატუმრო დარბაზში იყვნენ ქალაქის მესვეურები, იუგოსლავიისა და მისი შემადგენელი რესპუბლიკების კულტურის მინისტრთა მოადგილეები, ავრეთვე ფესტივალის მონაწილე ქვეყნების თვალსაჩინო დიპლომატები, ჩვენი დიპლომატიური კორპუსი, საქართველოს კავშირის ოფიციალური დელეგაცია, საკონკურსო თეატრების ხელმძღვანელები და წამყვანი მსახიობები. იმავე დღეს მოხდა სახიმოვნო ფაქტი: ბელგრადის თეატრალურ მუზეუმში, რომელსაც XVII საუკუნის შესანიშნავი არქიტექტურული კოტეჯი უჭირავს, გაიხსნა რუსთაველის თეატრის ისტორიის ამსახველი გამოფენა. მუზეუმის სამ ოთახში ექსპონირებული იყო ფოტოსურათები სხვადასხვა სპექტაკლიდან, ფოშმები — ქართულ, რუსულ, პოლონურ, რუმინულ, სერბიულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე, რეცენზიების ფოტოპირები.

უაღრესად გულთბილ და ამაღელვებელ ატმოსფეროში გაიხსნა ეს გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ეიტნამის, ბულგარეთის საელჩოთა კულტატაშეები და, ცხადია, ჩვენი საელჩოსა და საკავშირო დელეგაციის წარმომადგენლები.

ფოტოსტენდებიდან იმზირებოდნენ ჩვენთვის ძვირფასი სახეები — რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელები — კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, აკაკი ვასაძე, დიმიტრი ალექსიძე, არჩილ ჩიკვანაია, ვალერიან ბალანჩივაძე, ბიბეილ თუმანიშვილი და თითქოს გვამხნევებდნენ, ვამარჯვებისათვის მოგვიწოდებდნენ.

სპექტაკლის დაწყებამდე ოთუთმეტი წუთით ადრე ბელგრადის სასალონო თეატრის წინ, რესპუბლიკის მოედანზე სასეიმოდ გამოწყობილი მესაყვირეთა რაზმი გამწკრივდა. საყვირეთა ორკესტრმა ბასმა ფესტივალის საზეიმო გასვლა აუწყა ქალაქს. ამასობაში თეატრის დარბაზი ავსეთ თეატრალურმა საზოგადოებამ, ეიურომ, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა, დიპლომატებმა, იუგოსლავიის მთავრობის წევრებმა. სპექტაკლს დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ამხ. ნ. როდიონოვი და მთელი დიპლომატიური კორპუსი. მღელვარე წუთები დადგა. დარბაზში შესრულდა „იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ასეთ ვითარებაში, დამეთანხმებით, არ არის აღვილი სპექტაკლის თამაში, მაგრამ დასმა შესახიმბავად, ბრწყინვალედ გაართვა თავი, რთული ამოცანის. აქვე უნდა ვთქვა, რომ სინქრონული თარგმანი უნაკლოდ წარმართა ქართველმა რეჟისორმა ციცინო მუხუსიძემ — იუგოსლავების რძალმა, რომელსაც დიდ პატივს სცემენ აქაურ თეატრალურ წრეებში რამდენიმე ნიჭიერი სპექტაკლის გამო.

პირველი მოქმედების დამთავრების შემდეგ, შესვენებაზე ჩვენი ელჩის აატივსაცემად გაიმართულ კოკტეილზე ამბ. ნ. როდიონოვმა უკიმოგვიღოცა თეატრის გამარჯვება. მართლაც, ეს იყო შესანიშნავი საღამო, რომელიც ყველა ქართველს, ყველა საბჭოელს ნიამაყით აავსებდა.

ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ აქაური თეატრალური კრიტიკოსები და საერთოდ პრესა ფრაგდ მკაცრად აფასებენ სპექტაკლებს, ისინი აბსოლუტურად არავითარ ანგარიშს არ უწევენ პროფესიონალობით გადაუჭრელ მაყურებელს თავის ნიჭიერებას.

სპექტაკლის წამყვანმა ყანრი ლოგოსვიოლმა ნათელყო თავის მრავალმხრივი ნიჭიერება იმ როლში, რომლის მნიშვნელობა ამ სპექტაკლში სრულიად არ ატარებს ფორმალურ ხასიათს".

წერილის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს გ. ხალარაძის, მ. გაბელმლიძის და კ. კავსაძის თამაშს. ბ. ყანწლის მუსიკის მეშვეობით გამოხატულია რეჟისორის თეატრალური იდეები, ხოლო ბ. მუსხიშვილის-მხატვრობა — ხალა და ძველი

სორრა უთხრა რამაზ ჩხიკვაძეს — მე რომ შემეძლოს, ახლავე მოგანმეტებდითო „ოსკარს"), უკვე ნათლად გამოიკვეთა პრესის დამოკიდებულება ჩვენი სპექტაკლისადმი, მაგრამ ორი სპექტაკლის შემდეგ ისე გაეფეზავრეთ ზაგრებს, რომ გარდა მოკლე, თუმცა აღმაფრთოვანებელი რეცენზიებისა (8 სექტემბრის „პოლიტიკა-ექსპრესი", 9 სექტემბრის „ნოვოსტი") გაზეთებში და დადებითი ცნობებისა და რადიოსა და ტელევიზიაში — საგულისხმო არაფერი გამოქვეყნებულა. ამან ცოტა არ იყოს შეგვაფიქრინა.

მხოლოდ 11 სექტემბერს იუგოსლავიის ყველაზე მნიშვნელოვან გაზეთებში „ბორბასა" და „პოლიტიკაში" დაიბეჭდა შესანიშნავი რეცენზიები, დაწერილი მაღალპროფესიულ დონეზე, რასაც შემდეგ მოჰყვა წერილები „ზაგრებსკიე ნოვოსტში", „სარაევსკიე ნოვოსტში" და ჟურნალში „ნინ".

აი ამონაწერებიც ამ გაზეთებიდან. გაზეთ „ბორბას" წერილის სათაურია „მხიარული მეცნიერება":

„რეჟისორმა სტურუამ ამ პიესას შეუნარჩუნა ყოველივე ის, რაც არსებობს გარკვეული ეპოქისა და სივრცის მიღმა, ის, რაც მარად ადამიანური, რაც ბრბოსა და ინტელექტუალურ ელიტას, ბავშვებსა და ბებერ-ბებერ ადამიანებს ერთნაირად ანაღვლებს, ანაბავებს, ანაცინებს, ანაფიქრებს, ანაოცებს, ანაფიქრებინებს, ანაოცებინებს, ანაფიქრებინებს, ანაოცებინებს, ანაფიქრებინებს, ანაოცებინ